სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

23 მაისი 20 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 67

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" 2025 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესხებ" - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N11 ბრძანებით დამტკიცებული პირობების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2025 წლის 21 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N557042) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" 2025 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას პროექტების ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი თ. დოჭვირი

დანართი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის

2025 წლის -23- მაისის N--67--- ბრძანებით

N	**საკონკურსო განაცხადი**	**კონკურსიდან მოხსნის მიზეზი**
1	ცოცხალი ბაქტერიების ბატარეა	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
2	ჭკვიანი ფანჯარა - მზის ენერგიის დამგროვებელი შუშები	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
3	წვიმის ენერგია - პლაზმური მიკროტურბინები	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
4	წყლის მაგნიტი - წყალბადის გენერატორი	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
5	ქარის დრონები - მფრინავი ქარის ტურბინები	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
6	ცივილიზაციის ტალღები - ხმაურისა და ვიბრაციის ენერგია	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად